პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 22 (11328)
სამშაბათი
27
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს, 27 იანვარს ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა.

დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!

კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა

დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში იხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა. იგი ისტორიაში შევა როგორც კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა.

კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებაში, შესანიშნავი ნიშანსვეტი იქნება კომუნიზმისათვის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დიად გზაზე. ყრილობა, მის მიერ შემუშავებული შვიდწლიანი გეგმა იმის მომასწავებელი იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა ადამიანები მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას ახალი შრომითი საგმირო საქმეებით ეგებებიან. ყრილობა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზული ციფრები იწვევს მშრომელთა კანონიერ სიამაყეს სოციალისტური წყობილებისათვის, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისათვის, აღაფრთოვანებს და რაზმავს მათ ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასაწყისი მისცა ახალ ეტაპს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, ჩვენმა სამშობლომ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ თავისი ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე, ავიდა ახალ სიმაღლეზე, საიდანაც კიდევ უფრო მკაფიოდ და თვალნათლივ მოჩანს ფართო პერსპექტივები, ჩვენი ხვალინდელი დღე.

უმაგალითო აღმავლობას განიცდის ჩვენი საბჭოთა ინდუსტრია. მწყობრში ჩადგნენ ახალი ქარხნები და ფაბრიკები, ახალი ჰიდროელექტროსადგურები და რკინიგზის მაგისტრალები.

გიგანტური ნაბიჯით ვითარდება სოფლის მეურნეობა. განუხრელად იზრდება მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

დიადი გამარჯვებით აღნიშნა საბჭოთა ხალხმა შვიდწლედის პირველი წელი — სამყაროში გაშვებულ იქნა პირველი საბჭოთა კოსმოსური რაკეტა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას მიეძღვნა, მოწმობს საბჭოთა მეცნიერების ახალ დიდ მიღწევას, ჩვენი ქვეყნის მაღალ ინდუსტრიულ დონეს.

გრანდიოზული გარდაქმნები და უმაგალითო წარმატებანი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თავდადებული შემოქმედებითი შრომის, კომუნისტური პარტიის უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, ლენინური გენერალური ხაზის განუხრელად და თანმიმდევრულად განხორციელების საფუძველზე.

პარტია ურყევად იცავს და შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას, ყველა ჩვენი გამარჯვების ურყევ საფუძველს. იგი თავის ყრილობას ეგებება გრანიტივით მტკიცე და შემჭიდროებული. პარტიის რიგების ერთიანობის შემდგომი განმტკიცებისა და კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენას, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის განადგურებას. პარტიას, რომელიც თავისი გზიდან გადაჭრით იშორებს ყოველივე დრომოჭმულსა და დახავსებულს, ჩვენი ქვეყანა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, უძლეველი დროშით ძლევამოსილად მიჰყავს წინ.

საბჭოთა ადამიანებმა სიამაყითა და სიხარულით მიიღეს დიადი შვიდწლიანი გეგმა. ეს უდიდესი დამაჯერებლობითა და ძალით ცხადყოფ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვამ, რომელიც პარტიის XXI ყრილობის წინ მიმდინარეობდა და რომელმაც თვალნათლივ გვიჩვენა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

ახლა მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღება და მისწრაფებანი მიმართულია მშობლიური მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ, სადაც დღეს მუშაობას იწყებს პარტიის XXI ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებები ახალ ძალასა და ენერგიას შემატებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მთელი მგზნებარებით აღაფრთოვანებენ მათ კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას! მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ნახატი ი. ქოქიაშვილისა

ქართული კულტურის საღამო

25 იანვარს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს. საღამო გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ვ. ბარსოვამ.

მოხსენება საქართველოს სსრ სოციალისტური კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აყვავების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა. ციფრები და ფაქტები, რომლებიც მომხსენებელმა მოიყვანა, დამაჯერებლად გვიჩვენებენ, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკამ კულტურის განვითარებაში. თუ 1897 წელს საქართველოში მოსახლეობის 70 პროცენტი უწიგნური იყო, ახლა რესპუბლიკამ დაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვით და მოსწავლეთა რაოდენობით ათას სულ მოსახლეზე ბევრად გაუსწრო მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და ინგლისს. რევოლუციამდე საქართველოში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად რესპუბლიკაში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს 40 ათასამდე სტუდენტი.

ახლა რესპუბლიკაში არის 20 პროფესიული თეატრი, ორი კინოსტუდია, 65 მუზეუმი, სამი ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, 1200-მდე სტაციონარული კინოდანადგარი.

აქ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თეატრების, ფილარმონიისა და მხატვრული კოლექტივების მსახიობებმა. კონცერტმა ცხადყო, თუ რა ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელოვნებამ.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ი. ქადაგიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ი. კუჭავა, (საკდესი).

ძვირფასი ინიციატივა

ჩვენი დიადი პარტიის XXI ყრილობის მუშაობის დაწყების აღსანიშნავად ხრამჰეს მეორის მშენებელთა კოლექტივმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა. მშენებლებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის აღსანიშნავად საგრძნობლად შეამცირონ ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ვადა, უზრუნველყონ ამ სადგურის ხიმძლავრეთა მწყობრში ჩაყენება და სახალხო მეურნეობისათვის ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყება ვადაზე ადრე.

ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ხრამჰესელმა მშენებლებმა დახმარებისათვის მიმართეს დამპროექტებლებს — თბილისის ჰიდროენერგოპროექტის კოლექტივს, სადაც ეს მიმართვა განხილულ იქნა ღია პარტიულ კრებაზე.

იმის შედეგად, რომ ხრამჰესი მეორე ამუშავებულ იქნება ვადაზე ადრე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მიიღებს 150 მილიონამდე მანეთ ეკონომიას.

დამპროექტებლებმა მშენებლებს აღუთქვეს აგრეთვე, რომ სამუშაო პროექტების გამარტივებით და ყოველგვარ ზედმეტობათა აღმოფხვრით სადგურის აგებისათვის გათვალისწინებულ თანხას 36 მილიონამდე მანეთით შეამცირებენ.

ოქტომბრის დროშები

ა. ლასურია

ფრთა გაშალე უფრო შორს და მაღლა,
ჰე, დროშების ცეცხლისფერო ტევრო!
გამარჯვების სიმბოლო ხარ ახლა,
მშვიდობით და გამარჯვებით გევლოს!

გმირთა გმირი პარტიაა ლენინის,
მშობელ მხარეს ვინც უცვალა სახე,
გააბრწყინა გზა დიდებით ფენილი,
წინ წარუძღვა დამონებულ ხალხებს.

ოქტომბერმა გაარღვია ჯანღი,
მისი შუქი მსოფლიოში დაჭრის,
ოქტომბერში აღდგა გმირი ხალხი,
დაამსხვრია ბორკილები ჩაგვრის.

შედუღაბდა ერთად ყველა ერი,
ფიცხელ ომში არ შემდრკალა ერთიც.
მომხდურს შეხვდა შემართული ხელით,
გადამთიელს გადაუდგა მკერდით.

გამარჯვების საყვირები გრგვინავს,
ქვეყნად იბრძვის ნათელი და ბნელი,
კომუნიზმის განთიადი ბრწყინავს
და არსება მისი არის გრძელი!

გმირთა გმირი პარტიაა ლენინის,
მშობელ მხარეს ვინც უცვალა სახე,
გააბრწყინა გზა დიდებით ფენილი,
წინ წარუძღვა თავისუფალ ხალხებს.

თარგმნა აფხაზურიდან
მურმან ლებანიძემ

მიიღე ჩვენი შრომითი საჩუქრები, დედა—სამშობლოვ!

სასიხარულო ამგვეგი

☆ თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ტერიტორიაზე დგას მორიგი ქართული რვაღერძიანი სამაგისტრალო ელექტრომავალი, რომელიც თბილისელ ელექტრომავალმშენებელთა საწარმოო საჩუქარია მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის. ლოკომოტივმა უკვე გაიარა საცდელი შემოწმება და მალე ჩაებმება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტვირთბრუნვის სამსახურში.

☆ კომუნისტური შრომის მოწინავეთა რიგებში დგას აგარის შაქრის კომბინატის კოლექტივი. ყრილობის გახსნის დღისათვის აგარელი ენთუზიასტები მშობლიურ პარტიას უპატაკებენ, რომ იანვრის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 5 ათას ცენტნერამდე შაქარი. თვის ბოლომდე ისინი გეგმის გადამეტებით მოამზადებენ 10 ათას ცენტნერ შაქარს.

☆ ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშრომელებმა სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში. მეოთხე კვარტალში გეგმის გადამეტებით გადაზიდულია ასობით ათასი ტონა სახალხოსამეურნეო ტვირთი. მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მიეკუთვნა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

☆ პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის ღირსეული საწარმოო საჩუქარი მოამზადეს ქუთაისის რძის ქარხნის მუშებმა. მათ 24 იანვრისათვის 125 პროცენტით გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა.

☆ მაღალი აქტივობითა და ენთუზიაზმით შრომობს დიდუბის წისქვილ-ქარხნის კოლექტივი. აქ პირნათლად გაანაღდეს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კომბინ-რებული საკვები საამქროს კოლექტივმა, რომელსაც გუშინ პროდუქციის დამზადების იანვრის გეგმა 107 პროცენტით ჰქონდა შესრულებული.

☆ როგორც კავკასელექტროქსელმშენიგტრესტის თბილისის ლიონინკონსტრუქციების ქარხნის დირექტორი ამხ. ნ. ბორჩხაძე გვაცნობებს, საწარმოს კოლექტივმა გუშინ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა. ახლა აქ თავდადებით შრომობენ ამისათვის, რომ ვადაზე ხუთი დღით ადრე დამთავრონ გურჯაანიმთავარი არხის და ლაჯანურამეხი-თბილისის ელექტროგადამცემი ხაზებისათვის ანძებისა და სხვა მოწყობილობის დამზადება.

☆ რიონის ელექტროსადგურის კასკადის ელექტრომექანიკურმა შემკეთებელმა ბრიგადამ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეაკეთა რიონჰესის და გუმათჰესის ჰიდროტურბინები და კაშხალის მთავარი ფარის 8 ამწე მექანიზმი, ტრანსფორმატორების 4 ფაზა, მაღალი ძაბვის ზეთის ამომრთველები.

მოდის ტყიბულის ქვანახშირი

შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ტყიბულის შახტებში. კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც მეხელმძღვანელობს, 21 იანვრისათვის პირნათლად გაანაღდა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით 1500 ტონაზე მეტი ქვანახშირი.

ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში ნორმის გადამეტებით იღებს არა 2,5 ტონა ქვანახშირს, როგორც ეს ვალდებულებით იყო გათვალისწინებული, არამედ 3,5-4 ტონა ქვანახშირს, შრომის ნაყოფიერება გავზარდეთ 38,1 პროცენტით, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შევამცირეთ 3 მანეთითა და 9 კაპიკით.

შ. კუბლაშვილი.

ჩვენი წვლილი

პარტიის XXI ყრილობას ღირსეული საწარმოო საჩუქრები მოუმზადა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 20 დღეში შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების იანვრის გეგმა. ამაში წვლილი უდევს კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც მეხელმძღვანელობ.

ბრიგადის წევრები ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

ჩვენს საწარმოში დავნერგეთ რაციონალიზატორული წინადადება — ჩამტეხ ჩარხზე ერთის ნაცვლად 2 ცალული დავაყენეთ.

ნ. ნიკოლაძე.

პარტიის XXI ყრილობას მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან კომუნისტური შრომის ბრიგადები. ამ მაჩვენებლების შესახებ მოგვითხრობენ ბრიგადების ხელმძღვანელები: ტყიბულის ლენინის სახელობის შახტიდან — შ. კუბლაშვილი, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნიდან — ნ. ნიკოლაძე, რუსთავის ცემენტის ქარხნიდან — რ. ჭიჭინაძე, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროდან — ო. ლორია, სოხუმის ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკიდან — უ. ებანოიძე.

სარეკორდო მაჩვენებელი

კომუნისტური შრომის ვახტზე შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ რუსთავის მეცემენტეები. ჩემმა ბრიგადამ იანვრის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით 500 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ცემენტი მისცა სამშობლოს. ამან წაგვახალისა უფრო ბეჯითი შრომისათვის. გადავწყვიტეთ პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღისათვის კიდევ 1000 ტონით მეტი ცემენტი გამოგვეშვა.

ეს საქმე წარმატებით დავაგვირგვინეთ. მშენებლებს 1400 ტონამდე ცემენტი მივეცით. გუშინ ცვლის ნორმის გადამეტებით გამოვუშვით 120 ტონაზე მეტი ცემენტი. ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

რ. ჭიჭინაძე.

თვითღირებულების შემცირებით

იმ დღიდან, რაც ჩვენს ახალგაზრდულ-კომკავშირულ ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება მიენიჭა, მეპაპიროსეებმა განსაკუთრებული გულისყურითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდეს ხელი საქმეს.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები ვადაზე ადრე გადაჭარბებით შევასრულეთ. ბრიგადა ცვლაში ნორმის გადამეტებით 160-200 ათას ცალ პაპიროსს უშვებს, ყოველი მილიონი ცალი პაპიროსის თვითღირებულება შევამცირეთ 10 მანეთით და უფრო მეტით.

უ. ებანოიძე.

გეგმის გადამეტებით

ჩვენი ცვლა კალინინის სახელობის მაღაროს ადრე გამონამუშევარ ველზე იღებს მარგანეცს. ეს საგრძნობლად ართულებს მუშაობის პირობებს. მაგრამ ცვლის წევრები, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ ერთი მიზნით — სასახელოდ შეხვედროდნენ პარტიის XXI ყრილობას, სიძნელეებს არ ეპუებოდნენ. დეკემბერში გეგმის გადამეტებით 600 ტონაზე მეტი მარგანეცი ამოვიღეთ.

ნაყოფიერად ვიმუშავეთ იანვარშიც. ცვლის თვითეულ წევრზე დღეში ნორმის გადამეტებით 1,5-2 ტონა მარგანეცს ვიღებდით, ამასთან საგრძნობლად შევამცირეთ მისი თვითღირებულება. მომავალში უფრო ბეჯითად ვიშრომებთ.

ო. ლორია.

სასიხარულო ამგვეგი

☆ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩავჩიძე), რომელიც რაიონში დამზადებული ჩაის ფოთლის ერთ მეოთხედს აწარმოებს.

კოლმეურნეობაში მტკიცედ ხორცელდება ჩაის პლანტაციების მოვლის აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსი. მეჩაიეებმა უკვე დაამთავრეს საზამთრო სამუშაოები. ჩაის პლანტაციები გადაბარულია, ფოსფოროვანი სასუქები შეტანილია 230 ჰექტარზე, მთლიანად დამთავრდა ეკალ-ბარდისაგან პლანტაციების გაწმენდა. დაამთავრეს ნიადაგის მომზადება ჩაის დასათესად. მზად არიან ჩაის ბუჩქების გასხვლისათვის.

☆ მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში სამუშაოდ მისული ახალგაზრდებიდან დაწინაურდა მწველავი ქალი დოდო ქიტუაშვილი, რომელმაც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება წარმატებით გაანაღდა. 1958 წელს მან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 5.100 ლიტრი რძე მიიღო და რაიონში მწველავთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

დოდო ქიტუაშვილს დიდად არ ჩამორჩება ლილი გულაშვილი, რომელმაც შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. ჯერ ნახევარი წელიც არ არის, რაც მეძროხეობის ფერმაში მუშაობს, და უკვე ჩადგა მოწინავე მწველავთა რიგებში. ახლა იგი ყოველდღიურად 103-105 ლიტრ რძეს იღებს.

☆ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში გამოკრულია ცალკეული მწველავების გასული წლის მაჩვენებლები. პირველ ადგილზეა მწველავი გ. ჯამასპიშვილი. მან სახელოდ გაანაღდა პარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღო 5.048 ლიტრი რძე, გეგმა კი 3.000 ლიტრს ითვალისწინებდა.

— ეს ცოტაა, — ამბობს ჯამასპიშვილი, — სამშობლო ჩვენგან მეტს მოითხოვს. წელს თვითეულ ძროხაზე სულ ცოტა 6.000 ლიტრ რძეს მივიღებ.

წარჩინებული მწველავის სიტყვა მტკიცეა. მან მიმდინარე წლის ოც დღეში დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა.

ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ ბეჯითი შრომით ყველაზე მეტად ისახელა თავი მწველავმა უ. ხვთისიაშვილმა. შარშან მან თვითეულ ძროხაზე 2.850 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად 2.000 ლიტრისა. იგი წელს 3.500 ლიტრი რძის მიღებისათვის იბრძვის.

☆ მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობამ 26 იანვრისათვის რაიონში პირველმა დაამთავრა ჩაის პლანტაციის გადაბარვა ფოსფოროვანი სასუქის შეტანით 268 ჰექტარზე.



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. აქ, კრემლის დიდ სასახლეში, დღეს იწყებს მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა. ფოტო ა. სერგეევ-ვასილიევისა და ვ. სავოსტიანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

1956-1958 Წ. Წ. ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

✪ 1956 წლის 14 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. ამ კანონის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ხარჯები პენსიების გასაცემად. მარტო 1958 წელს მოსახლეობამ 64 მილიარდი მანეთი პენსიები მიიღო.

✪ 1957 წლის 10 მაისს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ ხელი შეუწყო მრეწველობის შემდგომ წარმატებით განვითარებას. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით.

✪ 1957 წლის 31 ივლისს გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ". ამ დადგენილების საფუძველზე მარტო 1958 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა (იმ მშენებლობის ჩაუთვლელად, რასაც კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენცია ახორციელებენ), დაახლოებით 68 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

✪ 1957 წლის 4 ოქტომბერს სსრ კავშირში წარმატებით გაუშვეს მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი.

✪ 1957 წლის 3 ნოემბერს ჩვენს ქვეყანაში გაშვებულ იქნა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი.

✪ 1958 წლის 31 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. 1958 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობათა 83 პროცენტზე მეტმა შეიძინა მტს-ებში ტექნიკა. კოლმეურნეობებმა სულ შეისყიდეს 482 ათასი ტრაქტორი, 215 ათასი მარცვლეულის კომბაინი და ბევრი სხვა მანქანა. მინდვრის სამუშაოთა პერიოდში კოლმეურნეობებმა თავიანთი ტრაქტორებით შეასრულეს მთელ იმ სატრაქტორო სამუშაოთა 73 პროცენტი, რომლებიც ერთად შეასრულეს სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა.

✪ 1958 წლის 7 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება მოსახლეობის მოთხოვნილებათა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ქიმიური მრეწველობის და განსაკუთრებით სინთეზური მასალების და მათ ნაკეთობათა წარმოების განვითარების დაჩქარების შესახებ. ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა შარშან გადაჭარბებით შეასრულეს ძირითად სახეობათა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, აგრეთვე ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების წლიური გეგმა. ვადამდე შესრულდა მინერალური სასუქების, კაუჩუკის, ავტომობილის საბურავების, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, სინთეზური ამიაკისა და გოგირდმჟავას წარმოების გეგმა.

✪ წარმატებით ახორციელდება რა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამას, 1958 წლის 15 მაისს ჩვენმა სამშობლომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სპალნეტთშორისო სივრცეში — გაუშვა დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრი.

✪ 1958 წლის 18 ივნისს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება საგანგებოდ ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურალაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ.

✪ 1959 წლის 2 იანვარს სსრ კავშირში მთვარისაკენ გაშვებულ იქნა კოსმოსური რაკეტა, რითაც ჩვენმა სამშობლომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სპალნეტთშორისო მიმოსვლის საქმეში.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛᲓᲔ

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

★ 1955 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ იქნა 38 მილიონი ტონა თუჯი, 45 მილიონი ტონა ფოლადი, 35 მილიონი ტონა ნაგლინი, 391 მილიონი ტონა ქვანახშირი, 71 მილიონი ტონა ნავთობი, 170 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 251 მილიონი მეტრი შალის ქსოვილები, 299 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, 3,4 მილიონი ტონა ფხვნილი შაქარი, 2,7 მილიონი ტონა თევზი და სხვ.

1958 წელს კი სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება ასეთი იყო: თუჯი — 39,6 მილიონი ტონა, ფოლადი — 54,9 მილიონი ტონა, ნაგლინი — 42,9 მილიონი ტონა, ქვანახშირი — 496 მილიონი ტონა, ნავთობი — 113 მილიონი ტონა, ელექტროენერგია — 233 მილიარდი კილოვატ-საათი, შალის ქსოვილები — 303 მილიონი მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი — 356 მილიონი წყვილი, ფხვნილი შაქარი — 5,4 მილიონი ტონა, თევზი — 2,9 მილიონი ტონა და სხვ.

★ 1958 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალმა 700 მილიონზე მეტი ფუთით გადააჭარბა მარცვლეულის საერთო მოსავალს ყველაზე მოსავლიან 1956 წელს და 8,5 მილიარდ 50 მილიონი ფუთი შეადგინა.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

იმ დღეს რა დაავიწყებს პოლინას, როცა პირველად დაიწყო მუშაობა საკერავ ელექტრომანქანაზე. თუმცა ჩინებულად დაამთავრა კერვის ერთწლიანი სკოლა, სწავლის პერიოდში პრაქტიკულადაც მუშაობდა, მაგრამ ახლა ხომ დამოუკიდებელი საქმიანობის პირველი დღე იყო. და როცა დღის ბოლოს აგრეგატის ხელმძღვანელმა მისი ნაფუშვეარი შეამოწმა, კმაყოფილი დარჩა ახალბედა მკერავის პროდუქციით.

— თქვენ სად ისწავლეთ საკერავ მანქანაზე მუშაობა? — რუსულად შეეკითხა აგრეგატის ხელმძღვანელი.

— აქ, თქვენი ფაბრიკის სამკერვალო სკოლაში, — სუფთა ქართულით მიაგება პასუხი პოლინა ბოგდანოვამ.

... და მართლაც იმ დღიდან პოლინასათვის თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკა მშობლიური, საყვარელი საწარმო გახდა. აქ, ამ კოლექტივში შეიძინა ახლო ამხანაგები და მეგობრები, ამ საწარმოს დაუკავშირა თავისი ცხოვრების მომავალი, მატერიალური დოვლათის შექმნისათვის ბრძოლის ნათელი გზა. და უკვე 12 წელიწადია ამაყად და პირნათლად მიჰყვება მას.

ხან მამაკაცის შარვლების, პერანგების, ხან კი ბავშვის სასკოლო ფორმის შეკერვაზე მუშაობდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქალის ძვირფასი პალტოების დეტალებს ამზადებს. მის მიერ პალტოსათვის შეკერილი ჯიბეები, საჯიბეზე გაკეთებული გვირისტები ისე მკვიდრად და ფაქიზად არის შესრულებული, რომ მომდევნო ოპერაციაზე მომუშავეთა და სპეციალისტთა მოწონებას იმსახურებს.

კომუნისტი პოლინა ბოგდანოვა განა მარტო მაღალხარისხოვან პროდუქციას უშიებს! იგი ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად და მეტად — 210-240 პროცენტით ანაღდებს, ცელაში 30-ის ნაცვლად 60-70 დეტალს ამზადებს. მარტო გასულ წელს 2,5 წლის ნორმა შეასრულა.

— ასეთი მაღალნაყოფიერი შრომა მარტო ჩემი დამსახურება როდია, — გვითხრა პოლინამ. — ვენერა ცერცვაძე, რომელიც ჩემს წინა ოპერაციაზე მუშაობს, კარგად არომევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომაც მესამე ოპერაციის შესრულებას უნაკლოდ ვახერხებ.

მუყაითი, ენერგიული შრომით, საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით პოლინამ ფაბრიკის კოლექტივის, თბილისის პარტიული აქტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი დიდ საზოგადოებრივ და პარტიულ მუშაობას ეწევა. არის ფაბრიკის პარტიული ბიუროს წევრი, პარტიის თბილისის კომიტეტის წევრი, ოქტომბრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი. და ყველა ამ სამუშაოზე პოლინა ბოგდანოვამ თავი გამოიჩინა როგორც გულისხმიერმა, პატიოსანმა და ენერგიულმა მუშაკმა, ყველა პარტიული და საზოგადოებრივი დავალების შესრულებისათვის ერთგულმა მებრძოლმა.

ახლა თბილისელი მკერავი პოლინა ბოგდანოვა მოსკოვშია. ეს მისთვის უბრალო გასეირნება როდია. ის იქ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ჩავიდა როგორც უდიდეს მოვლენათა მოწმე და მონაწილე. საქართველოს კომუნისტებმა იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატად გაგზავნეს.

ჩავიდა მოსკოვში ეს მუშა ქალი და თან ჩაიტანა ყრილობისადმი მიძღვნილი თავისი საწარმოო საჩუქრები. იგი ყრილობას მოახსენებს მშობლიური ფაბრიკის მშრომელთა ურყევ გადაწყვეტილებას, რომ ისინი მხოლოდ კომუნისტურად იმუშავებენ და იცხოვრებენ.

Ზ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ

ᲒᲕᲘᲠᲗᲐᲡ თუ გვილხინს, ვიბრძვით თუ მშვიდობიანად ვშრომობთ, მუდამ ძალას ვიკრებთ გამოულეველი და სპეტაკი წყაროდან, ამ დიდი მდინარის სათავიდან, რომელსაც ჰქვია კომუნისტებისაკენ მიმავალი გზა, და რომელზეც ჩვენ მივაბიჯებთ მხნედ, გაბედულად, რწმენით, ხვალის იმედით, უკეთესი მერმისის შუქით.

ეს წყაროა ჩვენი დედა—ჩვენი ძალისა და ძლიერების სათავე — პარტია.

ჩვენმა თაობამ არ იცის ძალისა და ძლიერების სხვა უფრო დიადი წყარო, ვიდრე პარტიაა, არ იცის მზეც კი, უფრო დიადი სინათლისა და სითბოს მომცემი, ვიდრე პარტიაა.

აი უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია ვიკვებებით ამ სპეტაკი წყაროთი, ვთბებით ამ მზის სითბოთი და მივიკვლევთ გზას, გაშუქებულს მისი დიადი სინათლით.

გემით ვმგზავრობთ მღელვარე ზღვაზე, თუ ფოლადის ფრთებით ვსერავთ ქარიშხლიან ცის თაღს, ყოველთვის თვალი და ყური, გული და გონება მიპყრობილი გვაქვს იმისკენ, ვინც იმ ხომალდის საჭესთან ზის, ჩვენი ბედის საჭესთან. როგორ წარმართავს იგი ხომალდს? როგორ გამოგვატარებს იგი ნისლსა და ჯაღლს, ღელვასა და ქარიშხალს? ხოლო საჭესთან მჯდომის გულისფეთქვა ჩვენს ძარღვებში ჩახლართულა, ჩვენს მაჯისცემას და გულისფეთქვას შეერთებია.

ეს — პარტია მართავს მასზე მინდობილ მილიონთა ხომალდის საჭეს, მართავს უნარიანად, გაბედულად, შეუპოვრად, ლენინური მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რ ე ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა — გიგანტური მობრუნება ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივის ახალ გამოვლინებაში. ახალ, დიად შვიდწლედს საძირკვლად უდევს ის გარდამქმნელი ღონისძიებანი, რაც პარტიამ სოციალისტური სოფლის მეურნეობაში გაატარა.

დიადი შვიდწლედის ძლევამოსილ მდინარეებს მკვებავ ნაკადულად უერთდება პარტიის თაოსნობით მიღებული კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

შვიდწლედი ა ფ ა რ თ ო ე ბ ს პლაცდარმს ახალი შეტევისათვის წინ, რომ საბჭოთა ხალხმა პარტიის წინამძღოლობით ისტორიულად მოკლე დროში გადაწყვიტოს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

შვიდწლედის თეზისებში გამოხატულია ხალხის ლენინური რწმენა, ლენინური ყურადღება, ლენინური უსაზღვრო პატივისცემა მშრომელი ადამიანისადმი:

65-70 მილიონი ტონა თუჯი, 86-91 მილიონი ტონა ფოლადი, 65-70 მილიონი ტონა ნაგლინი!.. ძლევამოსილ ლითონის საძირკველს უდებენ სახელოვანი მეტალურგები მომავლის კომუნისტურ საზოგადოებას.

230-240 მილიონი ტონა ნავთი — ძალუმი „სისხლი", ჩვენი ტრანსპორტის ძარღვებში მდინარი, 10-11 მილიარდი ფუთი პური, 40.610 ათასი ტ ო ნ ა რძე, 5,7-6,1 მილიონი ტონა ბამბა, ჩვენი ხალხის შეძლებულობის წყარო; ფართო მოხმარების საგნების ახალი სიუხვე, 15 მილიონი ახალი ბინა ქალაქად და დაბებში, 7 მილიონი ახალი საცხოვრებელი სახლი სოფლად, — ჩვენი ადამიანების ახალი სიხარული.. —აი შვიდწლედის არასრული სურათი. ხოლო მისი, შვიდწლედის, გვირგვინი იქნება 1964 წლიდან დაწყებული თანდათანობითი შემცირება სამუშაო კვირისა.

ხორციელდება ოცნება, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ უტოპიად შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა —ისტორიაში პირველად უბრალო საბჭოთა ადამიანი იმუშავებს მხოლოდ 5 დღეს კვირაში, 6-7 საათს დღეში, ხოლო 2 დღეს კვირაში — დაისვენებს.

ყველაზე მოკლე, მსოფლიოში, სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა — ეს ხომ სოციალისტური წყობის დაუფასებელი უპირატესობის დადასტურებაა.

ლენინური კომუნისტური პარტიის XX-დან XXI ყრილობამდე პერიოდის გამარჯვებათა დაფნის გვირგვინია ცეცხლოვანი წერტილი — კოსმოსური რაკეტა, აჭრილი ცაში, როგორც მარადიული, არა გაქვავებული, არამედ მუდამ მოძრაობაში მყოფი ძეგლი ჩვენი წარმატებებისა, აგრეთვე წინ მავალისა!

ამ სიმაღლეთა სწრაფმსრბოლავი ტრაექტორია მოხაზულია დიდი ლენინის ხელით და განხორციელებულია მის მიერ შექმნილი პარტიის კოლექტიური გენიით.

ჩვენი პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის გახსნა ემთხვევა საბრძოლო მწყობრში კომუნიზმის ახალგაზრდა ჯარისკაცის, შვიდწლედის პირველი წლის ჩადგომას. იგი, ეს წელი, მახვილი თვალისაა, შორსმჭვრეტელი — იგი მთელი შვიდი წლით წინ იყურება. თუ წელიწადებს აღმავალ მანძილად ჩავთვლით, იოლი წარმოსადგენია, რა მწვერვალებისაკენ აუპყრია მას თავისი მახვილი და მიზანსწრაფული მზერა! მაგრამ არც მანძილი, როცა მისი გავლის ძალა შეგწევს, არც მწვერვალები, როცა მათი დაპყრობისათვის მუხლები მაგარი გაქვს, საშიში არ არიან. ასეთი ძალით და უნარით კი აღჭურვილია ჩვენი შვიდწლედის პირველი წელი. იგი დევგმირ-წინამორბედთა ჯანსაღი პირმშოა, ცხრასჩვიდმეტის ოქტომბერში ჩასახული, წინა ხუთწლედებით გამოკვებილი, და ამიტომაც ასე უდრეკი, მთვარესავით გაბადრული, მზესთან შემობრძანებული.

რატომ უფრო შორსმჭვრეტელი შეიქნა შვიდწლედის ეს პირველი წელი? — მას გზას უნათებს პროექტორი, რომლის შუქზე უფრო ხელშესახებად მოჩანს კომუნიზმის დიადი შენობის კონტურები. ეს პროექტორი არის თეზისები ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებისა პარტიის XXI ყრილობაზე.

პარტია თავისი XXI ყრილობის ტრიბუნიდან დასახავს კომუნიზმის მოახლოების გზას, და ადამიანები ქვეყნის ყოველ ახალ წარმატებას იზეიმებენ როგორც საკუთარ დღეობას, და გაუსწრებენ ოცნებას მიზნის თვალისმომჭრელი სიახლოვის შეგრძნებით.

და ამიტომაც, ფართოდ იღება რა კრემლის დიდი სასახლის კარი პარტიის XXI ყრილობისათვის, მასში ყრილობის დელეგატებთან ერთად შედის მთელი საბჭოთა ხალხი თავისი ფიქრებით, გრძნობებით, დღევანდელი გამარჯვების კანონიერი სიამაყით და კიდევ უკეთესი ხვალის რწმენით.

მთელი საბჭოთა ხალხის გულისყური მიპყრობილია კრემლისაკენ, სადაც დღეს მუშაობას შეუდგება უროს და ნამგლის მძლე კავშირის დიადი პარტიის XXI ყრილობა.

და ამ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად პარტიას — მშენებლობის გენიალურ ოსტატს — კვლავაც გაჰყვება კომუნიზმის ორასმილიონიანი არმიის თვეთული ჯარისკაცი.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲗᲝᲠᲐᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ეს იყო გასული წლის 25 ნოემბერს. საამქროში ახალი გაზეთები მოვიდა. განსაკუთრებით დაგვაინტერესა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პირველ გვერდზე მოთავსებულმა მასალებმა მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების ახალგაზრდობის ახალი თაოსნობის შესახებ. მაშინვე ვურჩიე ბრიგადის წევრებს გამოვხმაურებოდით ახალგაზრდების ამ მაგალითს და შევექმნა რესპუბლიკაში პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადა. ბრიგადის წევრებმა ერთსულოვნად დამიჭირეს მხარი და პარტიის XXI ყრილობას აღსანიშნავად ვიკისრეთ გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი.

ახლა, ყრილობის გახსნის დღისათვის, ამაყად შემიძლია განვაცხადო, რომ პირობა პირნათლად შევასრულეთ.

აი კონკრეტულად რა გავაკეთეთ:

დღეისათვის გეგმის ზევით გამოშვებული გვაქვს უკვე ასობით ტონა თუჯი, მნიშვნელოვნად შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, გავაუმჯობესეთ ხარისხი, შრომის ნაყოფიერება გავადიდეთ არა სამი პროცენტით, რასაც ვალდებულებით ვითვალისწინებდით, არამედ ოთხი პროცენტით. რენტაბელური და ყაირათიანი შრომის შედეგად მივაღწიეთ 95.000 მანეთამდე ეკონომიას.

ცუდად როდი ვიმუშავეთ ჩვენი კულტურული და ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

ქართველი მეტალურგები კიდევ. უფრო მეტს გავაკეთებთ, კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიბრძოლებთ მშობლიური პარტიის, სამშობლოს ყველა დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

Ა. ᲥᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲒᲐ

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია დეპოს ყველა მშრომელი, რომელთა სიტყვა და საქმე განუყოფელია. პატრიოტული შრომით სახელი გაითქვა პარტიის XXI ყრილობის სახელობის მძიმე წონის მაჭარებლების წამყვანი ელმავლების კოლონამ, რომელიც ზამთრის სუსხიან დღეებშიც ერთი წუთითაც არ ანელებს მუშაობის ტემპს. დეპოს კოლექტივი ამაყობს იმით, რომ პარტიის XXI ყრილობის გახსნის წინ კოლონამ გეგმის გადამეტებით გადაზიდა 500 ათასი ტონა სახალხოსამეურნეო ტვირთი. კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელიც ჩვენს საწარმოშია შექმნილი, მე ვხელმძღვანელობ. ბრიგადა წარმატებით ასრულებს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. მიღწეულს არასდროს არ დავჯერებივარ და არც შემდგომში დავიმშვიდებთ თავს.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა მე უდიდესი ნდობა გამომიცხადეს — პარტიის XXI ყრილობის დელეგატად გამგზავნეს. ეს დიდი ნდობა ძალახა და ენერგიას მიასხეცებს.

Ბ. ᲑᲝᲒᲒᲕᲠᲐᲫᲔ,

თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ

სამი ათეული წლის მანძილზე ტყიბულში ერთი შახტიც არ აგებულა, რომლის მშენებლობაში მე არ მიმეღოს მონაწილეობა. გასულ წელს ვმუშაობდი „კომკავშირული" შახტის მშენებლობაზე გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელად. ჩემს ბრიგადას ყოველდღიურად ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 3,6 გრძლივი მეტრისა, გაჰყვა და 4,5-5 გრძლივი მეტრი სამთო გამონამუშევარი. ბრიგადამ 1958 წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

ახალი წლიდან ვმუშაობ ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის მესამე სამთო ჰორიზონტის მშენებლობაზე. ეს სამუშაო მეტად პასუხსაგები და საჩქაროა. ახალი ჰორიზონტის დროულ, შემჭიდროებულ ვადებში მომზადებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდება. უკვე დავამონტაჟეთ სამთო ლიფტი, ამ დღეებში შევუდექით საშახტო ეზოსა და შტოლნის გაყვანას. განზრახული გვაქვს კაპიტალური სამთო გამონამუშევრები გადავამაგროთ ლითონის კონსტრუქციით. ჩვენ ამ რთული სამუშაოს საკმაო გამოცდილება გვაქვს.

ამჟამად ჩემი ბრიგადა მშობლიური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას. იანვრის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება 140 პროცენტით შეესრულეთ. მაგრამ მიღწეული როდი გვაკმაყოფილებს. ბრიგადის წევრებმა ამას წინათ მოვითათბირეთ, ჩვენი შესაძლებლობანი ავწონ-დავწონეთ და გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავაძლიეროთ სამთო გამონამუშევრების გათხრის ტემპი.

Პ. ᲰᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

გამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და ყრილობას ცუდი მაჩვენებლებით როდი ვხვდები. მარტო გასულ წელს გეგმის გადამეტებით მშობლიურ მეტალურგიულ ქარხნებს 1.487 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მივეცი.

გულწრფელად ვიტყვი: არ მიყვარს რეკორდების გამოდევნება. უფრო იმას ვცდილობ, რომ დავეხმარო ამხანაგებს, რათა ყველამ შეასრულოს დავალება, მივაღწიოთ საერთო წარმატებას.

როდი მეზარება ჩემი გამოცდილება ახალგაზრდებს გავუზიარო. ანგარიშობენ, რომ ჩემი მოწაფეები 150-ზე მეტია. მართლაც სახელმოხვეჭილი მაღაროელები ი. კომლაძე, მ. აბრამიშვილი, შ. სამხარაძე, ვ. ფოფხაძე, მ. ჭუმბურიძე, დ. მაჭავარიანი და სხვები ჩემი გამოზრდილები არიან და არც ჩამომავრდებიან.

ჩვენმა ხალხმა და პარტიამ იციან კეთილსინდისიერი შრომის დაფასება. მაღაროელებმა ოთხჯერვე ამირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული ვარ ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

როცა სოციალისტური შრომის გმირობა მომანიჭეს, ყველა გულწრფელად მილოცავდა. და ახლა ყრილობის დელეგატობაც ამხანაგებმა და მეგობრებმა მომილოცეს სულით და გულით.

სანამ გული მიძგერს, ყოველთვის ჩვენი ხალხის ხაკეთილდღეოდ ვიშრომებ.

Ტ. ᲗᲝᲜᲗᲮᲐᲫᲔ,

ჭიათურის ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს ამწმენდი, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ სკკპ XXI ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): ა. კობაიძე (წითელწყარო), ფ. წითელაძე (ბათუმი), პ. ჭელიშვილი (ტყიბული) და ა. მრელაშვილი (თელავი).



პარტიის რჩეულნი

ყრილობის დელეგატები და მათი საქმეები

აღმავლობის გზით

ყველა კომუნისტი, თვითეული საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს და შრომობს ერთი მისწრაფებითა და სურვილით — სასახელოდ გაანადღოს ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, ღირსეული შრომითი საჩუქრებით შეხვდეს ყრილობის გახსნის დღეს.

ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში ერთ-ერთი პირველი ჩაება ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადა.

ჩვენი არტელი მრავალდარგოვანია, მაგრამ მთავარი მაინც მეჩაიეობაა. ვადაზე ადრე გავანადღეთ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 8,2 ჰექტარ პლანტაციაში მოვკრიფეთ და მრეწველობას ჩავაბარეთ 57.241 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 6 — ბრიგადების უმრავლესობა კარგად ამუშავებს ვენახებს, ყურძნის მოსავალი გადიდდა, მაგრამ მეხუთე ბრიგადას მაინც საშველი არ დაადგა, მისი ვენახის სიმეჩხერე 25 პროცენტს აღწევს. გამგეობის წევრებმა გადავწყვიტეთ ბრიგადის ხელმძღვანელობა ოქვენ დაგაკისროთ.

თავმჯდომარის ამ წინადადებამ ცოტა არ იყოს დაფიქრა, თითქოს შევშინდი კიდეც. მაგრამ რა გაეწყობოდა, დავთანხმდი და აღვუთქვი, რომ ნდობას გავამართლებდი.

ბრიგადის წევრებს სათითაოდ ვესაუბრე. პირველ რიგში სიმეჩხრის მოსპობაზე ვიზრუნეთ. გადაწვენთა და გამორგვით ათასობით ვაზი შევმატეთ ვენახებს. არ ყოფილა შემოხვევა, რომ ვაზის მოვლის აგროწესები დაგვერღვიოს.

კარგი მოვლით ვაზმა გაგვახარა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 92 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, გეგმა კი 60 ცენტნერზე მეტს არ ითვალისწინებდა. უფრო მეტი მივიღეთ თოთხმეტ ჰექტარ ფართობზე. აქ ყურძნის მოსავლიანობამ ჰექტარზე 101 ცენტნერს გადაამეტა. გ. გერმანიშვილ. მა ერთ ჰექტარზე 159 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ამ ყრილობის დელეგატობა, რომელმაც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა უნდა შეიმუშაოს, სახელისა და დიდების საქმეა. ეს დიდ მოვალეობას მაკისრებს. ბრიგადის წევრებს მოველაპარაკე, ვიმსჯელეთ, გამოუყენებელ რეზერვებს გადავხედეთ და გადავწყვიტეთ წელს საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მივიღოთ, ხოლო იმ ვენახში, რომლის ფართობი 14 ჰექტარს აღემატება, ჰექტარზე 120 ცენტნერი მოვიყვანოთ.

ა. მრელაშვილი,
თელავის რაიონის იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი.

რით მივდივარ ყრილოგაზე

კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს მემინდვრეობა წარმოადგენს. 1953 წელთან შედარებით ჰექტარზე ხორბლის მოსავალი საშუალოდ 3,5 ცენტნერით გავზარდეთ, სიმინდისა კი — 19 ცენტნერით. კოლმეურნეობას ბყავს 840 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 160 ძროხაა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრის ნაცვლად 1.580 ლიტრი რძე იქნა მიღებული. დიდი ყურადღება ექცევა მეღორეობის განვითარებასაც. ამჟამად ჩვენ 250 ღორი გვყავს. თვითეულ დედაღორზე საშუალოდ მივიღეთ და გამოვზარდეთ 16 გოჭი.

თავდადებულად შრომობენ ჩვენი კოლმეურნეობის მეფრინველეებიც, რომლებიც ოთხი ათასამდე ფრთა ფრინველს უვლიან, მათ 37.000 ცალი კვერცხი ჩაბარეს სახელმწიფოს, გარდა ამისა, გაყიდულ იქნა 2,5 ტონა ქათმის საუკეთესო ხორცი.

გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობაში დამზადდა 5.210 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, 680 ტონა თივა, ჩადებულ იქნა 3.500 ტონა სილოსი.

1953 წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, მაგრამ ჩვენი კოლმეურნეები ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალ შვიდწლედში უფრო მეტად გაზარდონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემოსავალი.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატად არჩევა ბევრს მავალებს. მეტი მონდომებითა და თავდადებით ვიმუშავებ, რათა ხელი შევუწყო სახალხო დოვლათის ზრდასა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

შაბანოვი კახრამან მუსა ოღლი,
მარნეულის რაიონის დიდი მუღანლოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ხურათზე პარტიის XXI ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): გ. ბოგვერაძე — თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანე, პ. ბოგდანოვა — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, ხ. მუხუშავრია — მახარაძის რაიონის სოფელ ძმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მ. არველაძე — თბილისის ტყავგალანტერიის ფაბრიკის მუშა, ა. დავითაშვილი — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, შ. კიკნაძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი.

ფოტო ო. არობელიძის და შ. ჩხეტიანისა

სახელოვანი ქალი

„სიყმაწვილეს შრომისა როდი ეშინია... მე ვიცი, რა არის შრომა: ეს არის წყარო ყველა სიხარულისა, ყოველივეზე საუკეთესო ქვეყნად... უნდა შევიგნოთ, რომ შრომა შემოქმედებაა“, — ამბობდა თავისუფალი შრომის უბადლო მომღერალი, მწერალი მაქსიმ გორკი.

ხალხის სასარგებლო უანგარო შრომამ მოუხვეჭა სახელი ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის წევრს ტატიანა ტყებუჩავას. ტატიანას ქმარი საომარ ველზე ომში მონაწილეობდა. შინ ძნიმედ დაჭრილი დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ოთხი შვილის დედა დაქვრივდა. ტატიანა ოჯახს ბურჯად დაუდგა და ობლებს უმამობა არ აგრძნობინა.

საკოლმეურნეო შრომამ წელში გამართა ქვრივის ოჯახი.

სოფელ ზანის კოლმეურნეობის მინდვრების ვრცელი ფართობი მოხავერდებულია მობიბინე ჩაის ბუჩქებით. გული გიხალისდება, როცა თვალუწვდენელ სივრცეზე გადასცქერი მოშარიშურე ჩაის პლანტაციებს. ეს არის „მწვანე ოქრო“, სოფლის შეძლებისა და დოვლათის ძირითადი წყარო.

საკოლმეურნეო პლანტაციებში ყურადღებას იპყრობს პატარა ნაკვეთი, რომელსაც ტატიანა ტყებუჩავა უვლის. გულდაგულ მოვლილ პლანტაციაში ყოველთვის ნახავთ ტატიანა ტყებუჩავას. იგი გულისყურითა და სიყვარულით დასტრიალებს თვითეულ ბუჩქს.

— ჩაი მეტად შრომატევადი, უაღრესად ნაზი კულტურაა, — ამბობს ტატიანა, — იგი მოითხოვს გულმოდგინე მოვლას, ვინ იცის რამდენჯერ უნდა შემოუაროს თითო ბუჩქს მისმა მომვლელმა, რამდენი რა განიცადოს, სანამ ეს ბუჩქი საკრეფად იქნება მზად, რომ არ ავნოს ამინდმა, მავნებელმა, რომ არ დაგვიანდეს ფოთლის კრეფა, არაფერმა იმოქმედოს ფოთლის ხარისხზე.

ტატიანა მართლა რომ სასწაულს ახდენს საკოლმეურნეო მინდვრებზე. მისი მოქმედების არეა 0,5 ჰექტარი პლანტაცია. ჰექტარზე გადაყვანით 24 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი! შარშან ასეთი მაჩვენებელი ჰქონდა ტატიანა ტყებუჩავას. მისი სახელი გასცდა რაიონის ფარგლებს. სოფლის მეურნეობის ამ ნოვატორის ხშირი სტუმარია სოფლის ფოსტალიონი, რომელსაც ტატიანასათვის მიაქვს წერილები, ამანათები, გამოგზავნილი ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებიდან. ამ მოწინავე ადამიანს კოლმეურნეები სთხოვენ გაუზიაროს ჯეზვი მოსავლის მიღების გამოცდილება.

ძნელია ამ წარჩინებული ქალის ყველა საქმიანობის ჩამოთვლა. მრავალფეროვანია მისი ცხოვრება. იგი მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის მუშაობაში, არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატად... ამ საპატიო ნდობისათვის უზომო სიხარული და ბედნიერება განიცადა ტატიანამ. რიგითი კოლმეურნე ქალი საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ყრილობის დელეგატია!

ერთი ფიქრით ცხოვრობს საკოლმეურნეო სოფლის სახელოვანი ქალი, ჩვენი პარტიის XXI ყრილობის დელეგატი — ახალ შვიდწლედში უფრო ნაყოფიერი გახადოს კოლმეურნეთა შრომა, გაადიდოს ჩაის მოსავლიანობა და თავისი წვლილი შეიტანოს დიადი მშენებლობის საქმეში.

შ. ბოჯუა.

ხალხის გულის ხმა

როგორც გაზაფხულზე იციან ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ალანქერება მდინარეებმა, ფეთქვა ხეებმა, აყვავილება ველ-მინდვრებმა, ისე აზვირთდა დღეს ხალხის გული.

მდინარეები, ხეები, ველ-მინდორი უმღერიან გაზაფხულს, სიცოცხლის მომნიჭებელსა და დიდას. ხალხის გული და სიყვარულიც თავიანთ გაზაფხულს უმღერიან, ნამდვილად კაცური ცხოვრების შემქმნელსა და დამბადებელს..

ამ დღეებში რედაქციამ უამრავი ლექსი მიიღო. ამ ლექსების ავტორებს არც წიგნები აქვთ გამოცემული და თითქმის სრულიადაც არ დაბეჭდილან, ისინი არიან მუშები, კლუბები, მასწავლებლები, სტუდენტები. უმღერიან სამშობლოს, პარტიას, მზეს და გაზაფხულს. რა ნაღლიც უნდა ჰქონდეს მათს ლექსებს, ერთი უდაოა, ყოველი სტრიქონი სავსეა სიყვარულით, სიამაყით და სიმართლით.

„მინდა მწვავდეს შენი ეშხი
და ისეთი ძალა მქონდეს,
ჩემი ხმა და ჩემი ლექსი
შენს სიყვარულს დარაჯობდეს“,

მიმართავს „პარტიის სიბრძნით აღშენებულ“ სამშობლოს თბილისელი ალაკი არჩვაძე. ხიდარელი დიმიდე გურგენიძე კი თავის ლექსში ხალხისა და პარტიის ერთიანობას უმღერის, როგორც ჩვენი წინსვლისა და ბედნიერების სათავეს, ახალ შვიდწლედს „ქვეყნის ხელხვავის ამწევს“ უწოდებს, პარტიის ყრილობის მიზანს კი „ჯერ არ გაგონილ წინსვლაში“ ხედავს, რომ უფრო „დავტკბეთ და ვიხაროთ“...

„დიდება ხალხსა და პარტიას,
ამ მძლავრად აღმავალ დინებას“!..

მახარაძის მუშა ახალგაზრდობის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლე ირალი ემნაშვილს თავის ლექსისთვის „მეც სამშობლოს“... დაუჯილდოვია. იგი უმღერის პარტიის ძლევამოსილ ძალას, „ნათლის სვეტად მოსულს“ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში, და გულწრფელად მიმართავს სამშობლოს:

„როგორ მეამაყება,
ჩემო, შენი შვილობა!..
შენს მომავალს გავყურებ,
გხედავ ასჯერ უკეთესს“.

მშობლიური პარტიის სიბრძნე სულ ახლახან მზის შორეულ სისტემაშიც შეიჭრა, შესძრა სამყარო და აალაპარაკა მსოფლიო. ახალმა პლანეტამ „სალამი უთხრა მზეს და ვარსკვლავებს“ და დაჰქრის როგორც „დიდი სიმართლე“ ქვეყნიერების თავზე. ამის შესახებ წერს ტყიბულელი გედევან მურუსიძე თავის ლექსში „ოცნება იქცა სიმართლედ“.

„უამბე, შვილი მოვსულვარ
მშრომელი ხალხის გულისა,
მშვიდობის მაუწყებელი,
ოცნება გაზაფხულისა“,

ამბავს იგი ახალ პლანეტას როგორც „მშვიდობის მტრედსა და წინამორბედს“. ამასვე წერენ სახალხო მთქმელი ს. ჩანგაშვილი ლექსში „კომუნისტურ პარტიას“ და ადიგენელი კოლმეურნე ნ. ბიკაშვილი ლექსში „შვიდწლედის დიად განთიადს“.

იაკობ ბოკორაშვილი სტალინოს ოლქიდან იწერება:

„ომამ ბევრ შატხში ცვლის უფროსად. ომში დიდ აღტაცებას იწვევს მშობლიური კომუნისტური პარტიის უმაგალითო მიღწევები. გიგზავნით პატარა ლექსს „ნათელ მომავალს“. გთხოვთ XXI ყრილობის წინადღეებში დაბეჭდოთ“. იაკობს არ აკმაყოფილებს, რომ ნორმაზე ბევრად უფრო მეტ ქვანახშირს იღებს და მარტო საქმით კი არა, სიტყვითაც უნდა უმღეროს საყვარელ სამშობლოს, ჩვენი ძლიერებისა და აღმავლობის დიდას — კომუნისტურ პარტიას, რომელმაც „ყველას გულში ჰპოვა ადგილი და სიხარულის ალი აანთო“.

„უკვე გამოჩნდა ის მწვერვალები,
უმდიდრესი და სიუხვით სავსე“,

წერს იგი ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალზე.

მრავალი გულწრფელი და სიყვარულით გამთბარი სტრიქონია აგრეთვე გ. მაღრაძის, ბ. ნაროუშვილის, ი. შონიას და სხვ. ლექსებში.

დედასთან საუბარში მთავარი ის კი არ არის, როგორ ამაღლებულად და პოეტურად ლაპარაკობს შვილი, დედასთან საუბარში მთავარია კეთილი გული, გულწრფელობა, ალალი სიტყვა. ამიტომ არის ამ ლექსების—ხალხის გულის ხმის ძალაც ესოდენ დამაჯერებელი და მომხიბვლელი.

ნატყვიარი ცაცია

ბერმანელთა რჩეული დივიზიები გააფთრებით მოიწევდნენ კავკასიისაკენ.

შავსვასტიკიანი თვითმფრინავები ღღედაღამ ბომბავდნენ დასახლებულ პუნქტებს. ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ სამხრეთისაკენ ლტოლვილ მოხუცებს, უმწეო ქალებს, ძუძუთა ბავშვებს. ცეცხლის ენები შემოგზნებოდა ნანგრევებად ქცეულ სოფლებსა და ქალაქებს, იწვოდა უმწიფარი ყანები, ტყეები, კულტურისა და ხელოვნების ფასდაუდებელი ძეგლები.

ქლუხორის ვიწროებთან შეერკინა კონსტანტინე გერრიას რაზმი მოძალებულ მტერს. ორი დღე-ღამე მუხლი არ ჩაუდგამს მხარში დაკოდილ ვაჟკაცს, თანამებრძოლებთან ერთად ორი დღე-ღამე მჭირულად იგერიებდა გერმანელთა გაფთრებულ იერიშებს.

შებინდების ხანს მიყუჩდა მტერი. უჩვეულო მდუმარება ჩამოდგა დენთის კვამლით გარუჯულ მთათა სამეფოში...

ვიწრო სანგარში გაიშოტა კონსტანტინე, დათალხულ ზეცას შეავლო ფიქრებში წასული თვალი.

საწყალი დედა! ალბათ ისევ ჩაღვენთილ კერიასთან ზის და საომრად წასულ შვილებზე დარდი წვეთ-წვეთად ეღვენთება გულში...

გვერდი მოინაცვლა მოგონებებში გართულმა კონსტანტინემ. მშობლებთან გატარებული უკანასკნელი საღამო დაუდგა თვალწინ. შემოდგომის ოქროსფერი დღეები იდგა სოფელში. მოხუცმა დედამ მზრუნველი ხელით გაუმზადა საგზალი ინსტიტუტში სასწავლებლად მიმავალ შვილს. მაგრამ მეორე დილით ქალაქში წასვლის ნაცვლად რაიონის სამხედრო კომისართან გამოცხადდა კონსტანტინე და ფრონტზე მოხალისედ გაგზავნის ნებართვა ითხოვა...

უკვე წელიწადზე მეტია, რაც მოწინავე ხაზზე იბრძვის კონსტანტინე გერრია და ამ ხნის მანძილზე ოთხჯერ დაიმსახურა მთავრობის ჯილდო. ვინ მოთვლის რამდენ გერმანელ ფაშისტს მიუწოლია სამ გიერრო ნანგრევებად ქცეული სოფლებისა და ქალაქებისათვის, აკვანში ჩაკლული ბავშვებისათვის, იმისათვის, რომ მას წიგნების ნაცვლად ხიშტშემართული შაშხანა ეჭირა ხელში და სიცოცხლის მოყვარული ვაჟკაცი დღენიადაგ ცეცხლსა და სიკვდილს ჩასცქეროდა თვალებში.

მაგრამ სამშობლოს დასაცავად ამხედრებულ მეომარს ბოლომდე აღარ დასცალდა სამაგიერო მიეზღო გადამთიელთა ურდოებისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ ქლუხორის მისადგომებთან მძიმედ დაჭრილი კონსტანტინე გერია გოლიეთ ჩამომდნარ კონსტანტინეს.

ჭრილობამ პირი შეიკრა, მაგრამ დაშანთული გული ისევ ბოლმითა და ვაებით ჰქონდა სავსე მწყობრიდან გამოსულ მეომარს.

ამ წუთისოფელში აბა რაღა უნდა გააკეთოს კონსტანტინე გერრიამ, რომელიც ყავარჯნებამოჩრილი დაბოტებს დედამიწაზე და ვეღარც მტრის ტყვიით დაცხრილული ცაცია მოუხმარია.

ეჰეი, კონსტანტინე, შავდაუკუღმა შეტრიალდა შენი წილი ცხოვრების ჩარხი. მტერმაც დაივიწყა შენი არსებობა, და ყავარჯნებიანი ხეიბარი ვეღარც მოკეთეს გაუწევ სამსახურს.

მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ კონსტანტინე გერია მოულოდნელად გამოიძახეს პარტიის გუდაუთის რაიონულ კომიტეტში და სოფელ აჩანდრის საშუალო სკოლის დირექტორობა შესთავაზეს.

მთელი ღამე თეთრად გატეხა სიხარულისაგან გოგნებულმა კონსტანტინემ. კონსტანტინე გერია ლივით ჩამომდნარ კონსტანტინეს. ჭრილობამ პირი შეიკრა, მაგრამ

ზ. ბოჯუა.

ყრილოგიდან ყრილოგამდე

ციფრები და ფაქტები

★ 1955 წელს სსრკ ყველა ხახელობის სწავლებაში ჩაბმული იყო 35 მილიონი კაცი, 1958 წელს — 50 მილიონზე მეტი.

★ 1955 წელს კინოდანადგართა რაოდენობა შეადგენდა 59 ათასს, 1958 წლის ბოლოს კი — 77 ათასს.

★ 1958 წელს გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. ამ წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 245 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაანგარიშებით) 1955 წელს მიღებული 218 ათასის ნაცვლად. 1958 წელს 1955 წელთან შედარებით ჩვენმა მრეწველობამ გამოუშვა 18 ათასით მეტი მარცვლეულის კომბაინი, 2 ათასით მეტი სიმინდის ასაღები კომბაინი, 29 ათასით მეტი სასილოსე კულტურების ასაღები კომბაინი, 61 ათასით მეტი ტრაქტორის გუთანი, 93 ათასით მეტი ტრაქტორის სათესი მანქანა, 62 ათასით მეტი ტრაქტორის კულტივატორი და ა. შ.

★ 1955 წელს მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 47,9 მილიონ კაცს, 1958 წელს კი 54,6 მილიონს.

საკდესის განცხადება

26 იანვარს პაკისტანის დედაქალაქ კარაჩში იხსნება ბაღდადის სამხედრო პაქტის საბჭოს სესია. არსებული ცნობებით, სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ირანისა და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრები, თურქეთის პრემიერ-მინისტრი, ინგლისის თავდაცვის მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე ჰენდერსონი.

როგორც უცხოეთის პრესა იუწყება, სესიაზე განხილული იქნება პოლიტიკური მდგომარეობა შუა და ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, მდგომარეობა ერაყში, საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბაღდადის პაქტის წევრებს — თურქეთს, ირანსა და პაკისტანს შორის ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა დადების შესახებ. შემდეგ გამოთქვამენ ვარაუდს, რომ კარაჩში განხილული იქნება საკითხი ბაღდადის პაქტსა და სეატოს, აგრეთვე ნატოს შორის კავშირის დამყარების შესახებ, რასაც მოწმობს, კერძოდ, სეატოს გენერალური მდივნის სარასინის ამასწინანდელი გამგზავრება შუა აღმოსავლეთსა და ლონდონში. გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ საბჭოს სესიაზე განხილული იქნება საკითხი პაქტის სახელწოდებისა და მისი შტაბ-ბინის ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ, რამდენადაც ბაღდადი ერაყში მომხდარი სახალხო რევოლუციის შემდეგ ამ აგრესიული ბლოკისთვის შესაფერი ადგილი აღარ არის.

ეგრეთწოდებული ბაღდადის პაქტის საბჭოს სესიას უკვე უსწრებდა წინ დახურული სხდომები ამ ბლოკის ზოგიერთი კომიტეტისა, კერძოდ, „ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ბრძოლის“ კომიტეტისა, რომელშიც ფრიად აქტიურ როლს ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. არავისთვის საფარული არ ყოფილა, რომ „ძირგამომთხრელი საქმიანობისა“ და „საერთაშორისო კომუნიზმის შეღწევის ხიფათის თავიდან აცილების“ შესახებ ბუნდოვან ფორმულირებათა კვამლსაფარს უკან იმალება ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ინგლისის აგრესიული წრეების მისწრაფება როგორმე გაამგრონ დაშლის პროცესში მყოფი ბაღდადის პაქტი, რომელსაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ერაყში მომხდარმა რევოლუციამ.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ბაღდადის პაქტის მომავალი სესია, ისევე როგორც წინა სესიები, მიმართული იქნება უწინარეს ყოვლისა არაბთა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. ამასთან დაკავშირებით არაბთა ქვეყნებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საბჭოს სესიაში მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოი ჰენდერსონი, რომელიც ფართოდ ცნობილი გახდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთში როგორც სპეციალისტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა იმ მთავრობების წინააღმდეგ შეთქმულებათა მოწყობისა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მოსწონთ. ჰენდერსონის პოლიტიკური სახე კარგად არის ცნობილი, კერძოდ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის იმ არასაკადრის როლთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ასრულებდა თურქეთის ხელისუფლებთან ერთად სირიაზე თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, აგრეთვე ისრაელის სამხედრო თავდასხმის გეგმების მომზადებაში 1957 წლის ბოლოს.

ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში პოლიტიკური მდგომარეობის საკითხის, კერძოდ ერაყის რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვა, რაც დასახულია ბაღდადის პაქტის საბჭოს კარაჩის სესიაზე, წარმოადგენს ამ რაიონის დამოუკიდებელი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის დაუფარავ ცდას. როგორც ეს ჩანს აგრეთვე სხვა აგრესიული სამხედრო ბლოკების — ნატოსა და სეატოს — პრაქტიკული საქმიანობიდან, — კოლონიურ სახელმწიფოებს ასეთი ჩარევა წესად აქვთ შემოღებული, თუმცა ასეთი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

კარაჩის სესიის მომზადებას თან ახლავს ხმაურიანი პროვოკაციული კამპანია ბაღდადის სამხედრო ბლოკის მონაწილე ზოგიერთ ქვეყანაში ერაყის წინააღმდეგ, ხოლო იმ მხრივ, რაც პაკისტანს ეხება, აგრეთვე ინდოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ. პროამერიკული მიმართულების ირანული გაზეთები აშკარად მოითხოვენ ერაყის მთავრობის დამხობას, უწოდებენ რა ამას „საარსებოდ აუცილებელ საქმეს“. გაზეთები „ჯახანი“ და „ფარმანი“ აღვირახსნილად მოუწოდებენ ერაყში არსებული რეჟიმის დამხობისაკენ. რადაც უნდა ჯდეს ეს. დაკარგეს რა ზომიერებისა და რეალობის ყოველგვარი გრძნობა, ისინი წერენ „ერაყზე სამხედრო ლაშქრობის“ საჭიროების შესახებ და, ამყოვანებენ რა თავიანთი ოკეანესგაღმელი ბატონების დაინტერესებას, მოუწოდებენ ერაყის ნავთობით მდიდარი ჩრდილოეთი რაიონების მოსულისა და კირკუკის ანექსირისაკენ. ამ ბინძურ პროპაგანდისტულ კამპანიაში ჩაება ირანის პარლამენტის ზოგიერთი წევრიც, რომლებიც მეჯლისის ტრიბუნიდან გამოდიან თავისუფლებისმოყვარე არაბი ხალხების უშვერი ლანძღვა-გინებით.

ყურადღებას იპყრობს ირანისა და ერაყის საზღვარზე დაძაბულობის გარკვეული გაძლიერებაც. ამ რაიონში უცხოეთის რეაქციული წრეები ადგენენ შეიარაღებულ ბანდებს, რათა ერაყში შეგზავნონ ისინი დივერსიულ-ტერორისტული აქტების ჩასადენად და ეროვნული შუღლის გასაღვივებლად. გადიდდა ერაყის საზღვარზე პროვოკაციული აქტების — სროლისა და ერაყის ჯარისკაცთა ძალდატანებით წაყვანის შემთხვევების რიცხვი, რაც სამართლიან აღშფოთებას იწვევს ერაყში.

პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გაფლეთნან წრეებს, რომლებიც შეტად დაანშინა ერაყში ეროვნული რევოლუციის გამარჯვებამ და კოლონიზატორებისადმი მორჩილი ნური საიდის ხროვის დამხობამ, ერაყის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნიათ ბაღდადის პაქტის ახლანდელი პოლიტიკის თითქმის „მთავარ ამოცანად“ და განზრახული აქვთ ამ მიზნით გამოიყენონ კარაჩის მომავალი სესია. ბაღდადის ბლოკის მონაწილე ქვეყნებს არ უნდა ავიწყდებოდეთ ის გაკვეთილები, რომლებიც დაკავშირებულია ერაყის მიმართ აგრესიორთა ანალოგიური გეგმების ჩაშლასთან ლიბანსა და იორდანიაში ამერიკა-ინგლისის ინტერვენციის დროს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ბაღდადის პაქტის ორგანიზაციის პირდაპირ უდევს წილი გასული წლის დამლევს ერაყში დამოაშკარავებულ ანტირესპუბლიკურ შეთქმულებაში, რომელშიც გაერთიანდნენ იმპერიალიზმისა და რეაქციის საკმაოდ სხვადასხვა ჯერის ძალები. კარგად არის ცნობილი იმის მიზეზები, თუ რატომ ასე ამხედრდნენ იმპერიალიზმის, დესპოტიზმისა და რეაქციის ძალები ახალი ერაყის რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ. ეს მიზეზები იმაში შედგმარეობს, რომ ერაყის მთავრობამ დაკარგინა ქავშირი იმ გამყიდველ ანტისახალხო რეჟიმთან, რომელიც ამ ქვეყანას თავს მოახვიეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა ერაყში რეაქციონერთა ბატონობის პერიოდში.

თავისი მეზობლების მიმართ მუქარა გაისმის პაკისტანშიც, სადაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მოხდა, არცთუ გარეგან გავლენის უქონლად, სამხედრო გადატრიალება და დამყარდა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი. პაკისტანის მთავრობა უკანასკნელ ხანს აშკარად ცდილობს გაამწვავოს ურთიერთობა თავის მეზობლებთან — ინდოეთთან და ავღანეთთან. საქმე იქამდე მიდის, რომ პაკისტანის ოფიციალური პირები ინდოეთთან ომისაკენ მოუწოდებენ, რასაც უცხოეთის გარკვეული წრეები აღვივებენ.

თავისთავად ცხადია, რომ აზიის სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის მტრობითა და კონფლიქტების გაღვივებით დაინტერესებული არიან მხოლოდ კოლონიალიზმის ძალები, რომლებიც თავიანთ ამ ძველ მეთოდს გარკვეული ანგარიებითი მიზნებით იყენებენ. ამ რაიონის ქვეყნების ხალხები, პირიქით, სისტემატიურად დაინტერესებული არიან მშვიდობის განმტკიცებით და ურთიერთ თანამშრომლობის განვითარებით.

თურქეთი, როგორც ნატოსა და ბაღდადის პაქტის აქტიური მონაწილე, კარაჩის სესიით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს, მართლდამს, როგორც ჩანს, იკისრა აღნიშნული სესიის მონაწილე მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ოკეანესგაღმა ინტერესთა ტრუბადურის არასახარბიელო როლი. თუმცა ამ ქვეყნის შიგნით იზრდება ეკონომიური სიძნელეები და ოპოზიციური განწყობილებანი, თურქეთი მაინც იარაღს აჩხარუნებს, ხელს არ იღებს თავის აგრესიულ, დამპყრობლურ ზრახვებზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონისა და ერაყის მიმართ.

საკმაოდ გასაგებია, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხები ყურადღებით აღიარებენ თვალყურს ამ ფანდებს, რასაც მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები, რომლებიც სულ უფრო ღრმად ითრევენ თურქეთს, ირანსა და პაკისტანს, სარგებლობენ რა ამ ქვეყნების სამშინაო პოლიტიკური და ეკონომიური სიძნელეებით, ახალი ომის მომზადებასთან დაკავშირებული ავანტიურისტული გეგმების ჭაობში. ხალხები კარგად ერკვევიან ომაში, რომ ამ ვერაგული გეგმების მახვილი მიმართულია უწინარეს ყოვლისა მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და კოლონიალიზმის აღმოფხვრისათვის აზიის ხალხთა ბრძოლის წინააღმდეგ.

კარაჩის სესიის ორგანიზატორები არ მალავენ იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გამოიყენონ ეს სესია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს, ირანს, პაკისტანს შორის ორმხრივ სამხედრო შეთანხმებათა დასადებად. სპეციალურ ბანდებს, რათა ერაყში შეგზავნონ ისინი დივერსიულ-ტერორისტული აქტების ჩასადენად და ეროვნული შუღლის გასაღვივებლად. გადიდდა ერაყის საზღვარზე პროვოკაციული აქტების — სროლისა და ერაყის ჯარისკაცთა ძალდატანებით წაყვანის შემთხვევების რიცხვი, რაც სამართლიან აღშფოთებას იწვევს ერაყში.

პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გაფლეთნან წრეებს, რომლებიც შეტად დაანშინა ერაყში ეროვნული რევოლუციის გამარჯვებამ და კოლონიზატორებისადმი მორჩილი ნური საიდის ხროვის დამხობამ, ერაყის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნიათ ბაღდადის პაქტის ახლანდელი პოლიტიკის თითქმის „მთავარ ამოცანად“ და განზრახული აქვთ ამ მიზნით გამოიყენონ კარაჩის მომავალი სესია. ბაღდადის ბლოკის მონაწილე ქვეყნებს არ უნდა ავიწყდებოდეთ ის გაკვეთილები, რომლებიც დაკავშირებულია ერაყის მიმართ აგრესიორთა ანალოგიური გეგმების ჩაშლასთან ლიბანსა და იორდანიაში ამერიკა-ინგლისის ინტერვენციის დროს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ბაღდადის პაქტის ორგანიზაციის პირდაპირ უდევს წილი გასული წლის დამლევს ერაყში დამოაშკარავებულ ანტირესპუბლიკურ შეთქმულებაში, რომელშიც გაერთიანდნენ იმპერიალიზმისა და რეაქციის საკმაოდ სხვადასხვა ჯერის ძალები. კარგად არის ცნობილი იმის მიზეზები, თუ რატომ ასე ამხედრდნენ იმპერიალიზმის, დესპოტიზმისა და რეაქციის ძალები ახალი ერაყის რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ. ეს მიზეზები იმაში შედგმარეობს, რომ ერაყის მთავრობამ დაკარგინა ქავშირი იმ გამყიდველ ანტისახალხო რეჟიმთან, რომელიც ამ ქვეყანას თავს მოახვიეს კოლონიურმა სახელმწიფოებმა ერაყში რეაქციონერთა ბატონობის პერიოდში.

თავისი მეზობლების მიმართ მუქარა გაისმის პაკისტანშიც, სადაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მოხდა, არცთუ გარეგან გავლენის უქონლად, სამხედრო გადატრიალება და დამყარდა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი. პაკისტანის მთავრობა უკანასკნელ ხანს აშკარად ცდილობს გაამწვავოს ურთიერთობა თავის მეზობლებთან — ინდოეთთან და ავღანეთთან. საქმე იქამდე მიდის, რომ პაკისტანის ოფიციალური პირები ინდოეთთან ომისაკენ მოუწოდებენ, რასაც უცხოეთის გარკვეული წრეები აღვივებენ.

თავისთავად ცხადია, რომ აზიის სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის მტრობითა და კონფლიქტების გაღვივებით დაინტერესებული არიან მხოლოდ კოლონიალიზმის ძალები, რომლებიც თავიანთ ამ ძველ მეთოდს გარკვეული ანგარებითი მიზნებით იყენებენ. ამ რაიონის ქვეყნების ხალხები, პირიქით, სისტემატიურად დაინტერესებული არიან მშვიდობის განმტკიცებით და ურთიერთ თანამშრომლობის განვითარებით.

თურქეთი, როგორც ნატოსა და ბაღდადის პაქტის აქტიური მონაწილე, კარაჩის სესიით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენს, მართლდამს, როგორც ჩანს, იკისრა აღნიშნული სესიის მონაწილე მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ოკეანესგაღმა ინტერესთა ტრუბადურის არასახარბიელო როლი. თუმცა ამ ქვეყნის შიგნით იზრდება ეკონომიური სიძნელეები და ოპოზიციური განწყობილებანი, თურქეთი მაინც იარაღს აჩხარუნებს, ხელს არ იღებს თავის აგრესიულ, დამპყრობლურ ზრახვებზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონისა და ერაყის მიმართ.

საკმაოდ გასაგებია, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხები ყურადღებით აღიარებენ თვალყურს ამ ფანდებს, რასაც მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები, რომლებიც სულ უფრო ღრმად ითრევენ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მოაწყო პრეს-კონფერენცია

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნების შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა 24 იანვარს მოაწყო პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებისათვის. კონფერენცია გაიმართა კრემლის სვერდლოვის დარბაზში. დაესწრო დაახლოებით 300 კორესპონდენტი.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

გააკეთა რა განცხადება, ა. ი. მიქოიანმა თქვა:

საბჭოთა და უცხოეთის პრესაში საკმაოდ დაწვრილებით შუქდებოდა ჩემი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იბეჭდებოდა როგორც ჩემი, ისე ამერიკელი მოღვაწეების გამოსვლები. ამიტომ მხედველობაში არა მაქვს გავიმეორო ის, რაც უკვე იცით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს მე მომიხდა ყოფნა ვაშინგტონში, კლივლენდში, დეტროიტში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანეელესსა და ნიუ-იორკში. გაიმართა მეტად საინტერესო საუბრები ამერიკელი ხალხის უადრესად სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან — მუშებთან, მოსამსახურეებთან, სტუდენტებთან, ბიზნესმენებთან, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, აგრეთვე ამერიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მრავალ წარმომადგენელთან.

ამერიკელები, რომლებთანაც ჩვენ ვისაუბრეთ, ძლიერ გულთბილად გვხვდებოდნენ, უაღრესად კეთილ გრძნობებს გამოთქვამდნენ საბჭოთა ხალხის მიმართ. ფორდის, კრეისლერის, „ჯენერალ მოტორსის“ ქარხნების მუშები და მოსამსახურეები დეტროიტში, ლინკოლნის კომპანიის ქარხნის მუშები კლივლენდში, კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტები ლოს-ანეელესში, ის ამერიკელები, რომელთა ოჯახებში ვიყავით, და სხვა ამერიკელები, რომლებსაც ვხვდებოდით, გვთხოვდნენ გადამეცა საბჭოთა ადამიანებისათვის სალამი და მეთქვა, რომ ამერიკელებს სურთ მშვიდობით და მეგობრობით იცხოვრონ საბჭოთა ხალხთან. როგორც ნიუ-იორკის, ისე ამერიკის სხვა ქალაქების საქმიანი წრეების წარმომადგენელები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ საჭიროა ნორმალიზებულ იქნას ჩვენი ურთიერთობა და უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოება. ისინი გამოთქვამდნენ ერთსულოვან სურვილს, რომ საქმიანი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან შენდებოდეს ურთიერთ ინტერესების პატივცემის საფუძველზე და ყოველი ღონისძიებით ვითარდებოდეს სავაჭრო ურთიერთობა.

არ შეიძლება სათანადოდ არ მიეხლოს ამერიკელი ბიზნესმენების საქმისადმი ასეთ გონივრულ მიდგომას. რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ასეთი განწყობილება თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს მომწიფებულ საკითხს ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარების შესახებ. ახლა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ეს განწყობილება რამდენად აისახება ამერიკის მთავრობის პოლიტიკაში. ჯერჯერობით, სამწუხაროდ, რაიმე ცვლილება ამ მიმართულებით არ აღინიშნება. საბჭოთა მთავრობამ, თავის მხრივ, უკვე წამოაყენა თავისი წინადადებანი. თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი გასული წლის 2 ივნისის თარიღით ვაჭრობის საკითხზე, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნულია, რომ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის დიდმნიშვნელოვანი საშუალება იქნებოდა ნდობის დასამყარებლად.

თქვენ უკვე იცით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს გაიმართა საუბრები პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან, ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონთან, სახელმწიფო მდივან დალესთან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან. აზრთა გაზიარება, როგორც ჩვენ ყველამ ვაღიარეთ, საესარგებლო იყო. შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც არც ისე შორეული წარსულისაგან განსხვავებით, აზრი გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის და ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭირო და სასარგებლოა კონტაქტი და მოლაპარაკება ყველა დონეზე. მართალია, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ მოღვაწეთა ეს აზრი ჯერ არ გამოხატულა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის რაიმე პრაქტიკული ნაბიჯით. უფრო მეტიც, მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებში ამერიკის მთავრობას კვლავ უკავია პოზიცია, რომელიც არ ითვალისწინებს თანამედროვე ვითარების რეალურ ფაქტებს, იგი არ იღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა ეს პრობლემები გადაიჭრას სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

ასეთი საკითხების განხილვისას ამერიკის მხარე იჩენდა გაოცებულ თავშეკავებას და არ იგრძნობოდა იმის სურვილი, რომ ეცლო შეთანხმების მიღწევის გზით უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

ჩვენ ბუნებრივია, აღვნიშნავდით ისეთი ძდგომარეობის არანორმალურობას, როცა ერთ მხარეს — საბჭოთა კავშირს — თავის მისწრაფებაში მიაღწიოს კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას, შეაქვს ზედიზედ წინადადებანი, ხოლო მეორე მხარე იმით კმაყოფილდება, რომ უარყოფს ამ წინადადებებს და არ შემოაქვს დადებითი წვლილი.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების ძემდეგ მე უკვე გავუკეთე მოხსენება ჩვენს მთავრობას ამ მოგზაურობის შესახებ. შემიძლია გაცნობოთ, რომ მთავრობამ საესებით მოიწონა ჩემი მოღვაწეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს და ამ მოგზაურობის შედეგი აღინიშნა, როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შესუსტებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური კავშირის გაუმჯობესების ხელშემწყობი. ჩვენი მთავრობა კმაყოფილი იყო იმ ყურადღებით, რომელიც აღმოგვიჩინეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა და სახელმწიფო მდივანმა დალესმა, აგრეთვე სხვა ოფიციალურმა პირებმა. ჩვენი მთავრობა უპასუხებს ასეთივე გულთბილი სტუმართმოყვარეობით ამერიკელებს, როცა ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ.

მე მთხოვეს მეთქვა, თუ რა საერთო შთაბეჭდილება მივიღე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შედეგად.

ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ დაახლოებით ასე. იქმნება რაღაცა, რომ, მიუხედავად „ცივი ომის“ გამოვლინებისა და ბევრი ცრურწმენის არსებობისა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირისა და მისი პოზიციის მიმართ, საერთოდ ატმოსფერო ახლა ხელსაყრელია ნაბიჯებისათვის მშვიდობის განმტკიცების მიმართულებით.

სულ უფრო მეტ ამერიკელს ესმის, რომ ომი და ომის საფრთხე თანამედროვე პირობებში სრულიად არ არის შესაფერისი საშუალება საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად, ჩვენს დროში მათ ვერ დაემყარება სახელმწიფოთა ურთიერთობა და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა. ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა და მეგობრობა როგორც სსრ კავშირთან, ისე სხვა ხალხებთან. ამან არ შეიძლება არ გაგვახაროს. ეს განმტკიცებს იმის რწმენას, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ღონისძიებებით სხვა სახელმწიფოებთან ერთად შეიძლება და კიდევაც უნდა შეიქმნას ხალხთა მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების პირობები.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ჩემი გულწრფელი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონს, სახელმწიფო მდივან დალესს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ორგანიზაციასა და ცალკეულ პირებს, ვინც ესოდენ გულითადი სტუმართმოყვარეობა აღმომიჩინა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს მივიღე დიდძალი მიწვევა ამერიკის ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, რომლებიც, სამწუხაროდ, დროის ნაკლებობის გამო ვერ დავაკმაყოფილე, მსურს ყველა ამ ორგანიზაციისა და პირების გადავუხადო უაღრესად გულწრფელი მადლობა მათი მიწვევისათვის, იმ კეთილი გრძნობებისათვის საბჭოთა ხალხისადმი, რომლებიც მათ თავიანთ მიწვევაში გამოთქვეს.

ა. ი. მიქოიანმა უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ კითხვაზე, რომლებიც შეეხებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი მოგზაურობის დეტალებს, ოფიციალურ და არაოფიციალურ მოღვაწეებთან საუბრებს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივებს, გერმანიისა და ბერლინის საკითხების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებებს, საბჭოთა კავშირში ტექნიკური პროგრესისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას, ამერიკელ პროფკავშირულ ლიდერებთან ა. ი. მიქოიანის შეხვედრას, მის შთაბეჭდილებას ამერიკის ცხოვრების დონის შესახებ და სხვა პრობლემებს. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისადმი

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისადმი. წერილს ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული მდივანი იუჯინ დენისი და აღმასრულებელი მდივანი რობერტ ტომპსონი.

კაცოგრიოგის განხორციელებული ოცნება

მორის ტორეზის სტატია

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტე-დიმანში“ დღეს გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის სტატია, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვებას. სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კაცობრიობის ამ დიდი ხნის ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის შესანიშნავი წარმატების მეოხებით. კომუნისტის რა სიამაყეს იწვევს ეს! — წერს მორის ტორეზი.—რა რწმენას უნერგავს ბედნიერი, თავისუფალი და მშვიდობიანი მომავლისადმი, რომელიც ჩვენ გვექნება!

ჩვენ ძლიერ გვიხარია, განაგრძობს მორის ტორეზი, საბჭოთა ხალხის გრანდიოზული წარმატება, მისი სოციალისტური ეკონომიკის ჩქარი განვითარება, მისი ცხოვრებისა და შრომის პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესება, გვიხარია მის მეცნიერთა, მუშათა, ინჟინერთა გმირობა.

და სიხარულით და მადლობით ვფიქრობთ უკვდავ ლენინზე, რომელმაც თავისი ქვეყნის პროლეტარები დარაზმა ძველი კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ ძლევამოსილი იერიშისათვის და გადამწყვეტი ბიძგი მისცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

ფინეთის მინისტრ ა. კორსიმოს ინტერვიუ გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგისადმი“

ბერლინი, 25 იანვარი. (საკდესი). ფინეთის აგრარული კავშირის მდივანმა და გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მეორე მინისტრმა სუქსელაინენის კაბინეტში ა. კორსიმომ ბერლინის დემოკრატიულ გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ, რომელიც დღეს არის გამოქვეყნებული გაზეთში. მინისტრმა მხარი დაუჭირა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესად ხელმოწერას საბჭოთა მთავრობის წინადადებათა საფუძველზე. ფინელი ხალხი და მისი მთავრობა მიესალმებიან საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტს, განაცხადა კორსიმომ, რადგან იგი ხელს უწყობს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას. რაც შეეხება გაერთიანების აქტუალურ საკითხს, ეს საკითხი, როგორც ხაზგასმით აღნიშნა კორსიმომ, შეიძლება გადაიჭრას, უწინარეს ყოვლისა, თვით გერმანელთა მიერ. თუ გაერთიანება ფაქტი გახდება, ფინელ ხალხს იმედი აქვს, რომ ეს ერთიანი გერმანია ეცდება განამტკიცოს მშვიდობა და არ დაისახოს, როგორც წინათ, ექსპანსიონისტური მიზნები სხვა ხალხთა ხარჯზე.

შეეხო რა ფინეთის პრეზიდენტ უ. კეკონენის შეხვედრას ლენინგრადში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან, კორსიმომ განაცხადა, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს მისი ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციასა და გაუმჯობესებას ფინელი ხალხის უმრავლესობის სურვილის შესაბამისად.

ახალი აღშფოთება ბელგიის კონგოში

პარიზი, 25 იანვარი. (საკდესი). დღეს ქალაქ მატადში (ბელგიის კონგო) გაიმართა ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 1000 კაცმა. ფრანს პრესის სააგენტო იმოწმებს ბელგიის ბელგას სააგენტოს ცნობას და იუწყება, რომ დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს ადგილობრივი ხელისუფლების შენობებს.

ადგილობრივი მოსახლეობის ეს ახალი აღშფოთება მოხდა ლეოპოლდვილის სისხლისმღვრელი ამბების სულ რამდენიმე დღის შემდეგ, სადაც ბელგიის პოლიციამ დახვრიტა მშვიდობიანი დემონსტრაცია.

გადადგა იტალიის მთავრობა

რომი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს გადადგა იტალიის ფანფანის მთავრობა.

მეათე ტური

მეათე ტურით, რომელიც 25 იანვარს გაიმართა, დამთავრდა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის პირველი ნახევარი.

მძაფრი იყო ორი ლენინგრადელი გროსმაისტერის მ. ტაიმანოვისა და ბ. სპასკის პარტია, რომელიც მ. ტაიმანოვის უპირატესობით გადაიდო.

სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. ტალმა გროსმაისტერი ი. ავერბახის წინააღმდეგ შესანიშნავად ჩაატარა ბრძოლა, მიიღო ძლიერი გამსვლელი პაიკები ლაზიერის ფრთაზე და მეტად საჭირო, ამასთანავე ეფექტური გამარჯვება მოიპოვა.

ი. იუხტმან — ს. ფურმანის პარტია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შეჯიბრების დასკვნით ნაწილში მელიც არ ითვალისწინებს თანამედროვე ვითარების რეალურ ფაქტებს, იგი არ იღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა ეს პრობლემები გადაიჭრას სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

ასეთი საკითხების განხილვისას ამერიკის მხარე იჩენდა გაოცებულ თავშეკავებას და არ იგრძნობოდა იმის სურვილი, რომ ეცლო შეთანხმების მიღწევის გზით უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

ჩვენ ბუნებრივია, აღვნიშნავდით ისეთი ძდგომარეობის არანორმალურობას, როცა ერთ მხარეს — საბჭოთა კავშირს — თავის მისწრაფებაში მიაღწიოს კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას, შეაქვს ზედიზედ წინადადებანი, ხოლო მეორე მხარე იმით კმაყოფილდება, რომ უარყოფს ამ წინადადებებს და არ შემო